# ცნობის ფურცელი

V<sup></sup> წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—კვირა, 5 მარტი 1900 წ. № 1062.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.


# სახალხო სეირნობა

## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება ქნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—2)

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

# ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—21)


### მთავრობის განკარგულებანი

**უმაღლესი ბრძანება სასულიერო უწყებას:**

ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდის ობერ-პროკურორის უმორჩილესის მოხსენებით, თანახმად უწმ. სინოდის დადგენილებისა, უმოწყალესად კეთილ ინება 17 თებერვალს და 50 წლის სამსახურისათვის უბოძა წმ. ვლადიმირის მე—4 ხარისხის ორდენები: ცხუნკურის (ქუთ. გუბ.) წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელს დეკანოზს ბესარიონ სულაბერიძეს და კონტოეთის ეკკლესიის (ქუთ. გუბ.) შტატს გარეშე მეოფს პეტრე ჩარგეიშვილს.

**უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას.**

154-ის დერბენტის საქვეითო პოლკის პოდპოლკოვნიკს ჩიკვაიძეს უბოძა პოლკოვნიკობა.

257—ის ფოთის სარეზერვო ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკს დუმბაძეს უბოძა პოლკოვნიკობა.

მე—14 გრენადერთა საქართველოს პოლკის კაპიტანს თავ. ბარათაშვილს უბოძა პოდპოლკოვნიკობა.

მე—45 დრაგუნთა სევერის პოლკის როტმისტრს თავ. აბაშიძეს უბოძა პოდპოლკოვნიკობა.

# ახალი ამბავი

✦ გაზ. „კავკაზი“-ს სიტყვით, გამოცხადდა **უმაღლესი ბრძანება ქუთაისის სათავადო-აზნაურო ბანკის რევიზიის მოხდენის შესახებ.** რევიზიას მოახდენს საგანგებო კომისია, რომლის ორი წევრი დაუნიშნავს ფინანსთა სამინისტროს და ერთი კავკასიის მთავარ-მართებელს; სახელდობრ, ფინანსთა სამინისტროსაგან დაინიშნენ: სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელენი სტ. სოვ. გოლუბაევი და კოლეჟ. სოვ. ჟუკოვსკი (ამათგან პირველი კომისიის თავმჯდომარედ იქნება) და მთავარ-მართებელისაგან—საგანგებო მინდობილებათა მოხელე ნადვ. სოვ. ალიშევსკი.

✦ კავკასიის **საერობო გარდასახადთა** ხარჯთ-აღრიცხვას სახელმწიფო საბჭო განიხილავს აპრილში.

✦ ამ დღეებში სახელმწიფო საბჭო განიხილავს ფინანსთა სამინისტროს პროექტს იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ქალაქებში **სადგომზე დაწესებული გარდასახადი.**

✦ ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ იხილება კითხვა იმის შესახებ, რომ ნება დართულ იქმნას დიდმარხვაში და შაბათობით **დრამატიული წარმოდგენების** გამართვა.

✦ **სოფ. ახალუბნის** (გორის მაზრა) **მცხოვრებნი,** რომელნიც ზაფხულში მეტად დაზარალა სეტყვამ და რომელნიც ამ ჟამად მეტად გაჭირვებულნი არიან, დახმარებას სთხოვენ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს გარდაუწყვეტია დააარსოს ყველა სამიწად-მოქმედო და სამეურნეო სკოლებთან **მპანსიონები.** ჯერ პანსიონებს დააარსებენ საშუალო სასწავლებლებთან, შემდეგ კი დაბალ სკოლებთან.

✦ საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი, რომლით ყველა **პირველ დაწყებით** სკოლებთან არსდება **სამზრუნველოები.** სამზრუნველოთა წევრებად იქნებიან: საგანგებოდ დანიშნული მზრუნველი (თავმჯდომარე), სღმრთო სჯულის მასწავლებელი, მასწავლებელნი და აგრეთვე არჩეულნი იმ დაწესებულებათა და პირთა მიერ, რომელნიც ხარჯს იღებენ სკოლის შენახვისთვის. სამზრუნველოს მოვალეობა იქნება—დახმარება აღმოუჩინოს როგორც სკოლას, ისე მოსწავლეთაც და აგრეთვე იზრუნოს სწავლა-განათლების გავრცელებისათვის ხალხში.

✦ დღეს, 5 მარტს, ბაღოსნობის კავკასიის განყოფილების სადგომში (გოლოვინის პროსპ. № 42) გაიხსნება **ხეხილების, ბოსტნეულობის და ყვავილების გამოფენა.**

✦ დღეს, იმავე სადგომში, ნაშუადღევის 1 საათზე, ბ. კლაუსენი წაიკითხავს პირველ ლექციას **პრაქტიკულ ბაღოსნობის** შესახებ. დასწრება შეუძლიანთ ყველა მსურველთ.

✦ გუშინ, 4 მარტს, სავაჭრო სახლის წარმომადგენელმა ხოს. აზრუმანიანცმა წარუდგინა გამგეობას განცხადება და მასთან 5000 მან. გირაოთ შესახებ მთაწმინდის მთაზე ფუნიკულიორის გაკეთებისა. არზუმანიანცის წინადადება გაცი-

ლებით სასარგებლოა რომის წინადადებაზე. ვადა შესყიდვისა 45 წლის მაგივრად, 40 წელიწადია; ქალაქის კასაში შესატანად კი შემოსავლიდან, თუ შემოსავალი 30,000 მანეთამდე იქმნება, მანეთზე, 5 კაპ. თუ 60,000 მანეთამდე იქმნება—მანეთზე 12 კ, და თუ 70,000 მან. და მეტი იქმნება—მანეთზე 15 კ. რომის წინადადებით კი, თუ შემოსავალი აღემატება 20,000 მან., შემოსავლიდან მანეთზე—2 კ.; 30,000 მანეთს—მანეთზე—3 კ.,40,000 მანეთს—მანეთზე—4 კ. და თუ 50,000 მანეთს აღემატება—5 კ.

✦ დღეს, 5 მარტს, მიდის ქ. გორში ტფილისის **საოლქო სასამართლოს განყოფილება**. განყოფილებას თავჯდომარეობს წევრი სასამართლოსი ე. ვ. ჩემესოვი, წევრად იქნება—დ. ვ. ჩერნიკი, ბრალმდებელად—გ. ს. ჯალალოვი. გასარჩევია 45 სისხლის სამართლის საქმე.

✦ **ტფილისის საბადოსნო სკოლის** შენახვისათვის წელს სამეურნეო საზოგადოების საბჭო თხოულობს 22 ათას მანეთს.

✦ **საბადოსნო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წარსული წლის მოღვაწეობის ანგარიშიდან სჩანს, სხვათა შორის, რომ შარშან განყოფილებას გაუმართავს კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში 18 კონკურს—გამოფენა; აქედან: ბაღოსნობის—1, ვაზის წამლობის—2, მეაბრეშუმეობის—11 და მეფუტკრეობის—4. ამ კონკურს-გამოფენებში მონაწილეობა მიიღო 1143 კაცმა და დაწესებულებამ, რომელთაგან 487-ს ერგო ჯილდო. სულ ეს კონკურს-გამოფენები დაუთვალიერებია 17,910 კაცს; წაკითხულ იქმნა 40 ლექცია ამავე კონკურსების დროს. ეს გამოფენები გაიმართა: ქუთაისის გუბერნიაში—4, ჩრდილოეთ კავკასიაში—3, კახეთში—3, ზაქათალის ოლქში—1, ერევნის გუბერნიაში—3, ტფილისისაში—3, და ბაქოსაში—1.

✦ ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საერთო **კრება**, რომელიც დღეს უნდა მომხდარიყო, **გადიდვა** სხვა დროისთვის.

✦ მოსკოვში არსდება **სიმზაცუურა საზოგადოება**, რომლის განყოფილებანი გაიხსნება შემდეგ სხვა დიდ ქალაქებშიაც. საზოგადოების დანიშნულება იქმნება—დახმარება აღმოუჩინოს ყველა იმ პირთ, ვისაც სასამართლო გაამართლებს და საპყრობილედან განთავისუფლებს. ხშირად ამგვარ პირთ ძალიან უჭირთ ისევ სამუშაოს მოპოვება და ლუკმა-პურის შოვნა, ამიტომ მათი დამხმარე საზოგადოებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

✦ განზრახულია **გაუმჯობესება სამკურნალო ნაწილისა** ამიერ-კავკასიის საპატიმროებში: გადიდებული იქმნება საპატიმროთა საავადმყოფოები და ამასთანავე ყველგან დაწესებული იქმნება საგანგებო თანამდებობა საპატიმროების ექიმები.

✦ ტფილისის ხელოსანთა გამგეობის დეპუტატებს **საჩივარი** შეუტანიათ საგუბერნიო მმართველობაში 29 თებერვალს საზოგადო კრებაზე მომხდარ უწესოების შესახებ. უწესოება გამოიხატება იმაში, რომ ხელოსანთა მოურავმა არ აღასრულა კრების საერთო გარდაწყვეტილება და არ აარჩევია სარევიზიო კომისია გამგეობის ანგარიშების განსახილველად.

✦ ტფილისის გუბერნიაში, გარდა სოფ. მაჩხაანისა, ყოველგან მოისპო **საქონლის ჭირი**.

✦ აპირებენ კავკასიაში ახალ სავეტერინარო შტატების დარსებას, რომელთა დაარსებამდე, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, დანიშნულია ვეტერინარის ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ვეტერინარი კრიდნერი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააარსა **სავეტერინარო** პუნქტი ბორჯომში. ვეტერინარ-ექიმს ბორჯომის საყასპოს შემოსავლიდან მიეცემა ჯამაგირი.

✦ სოფლის მამასახლისებს გაუგზავნეს ბრძანება, რომ სრული სია შეადგინონ სოფლებში მყოფ საქონლისა—**ხარისა, მროხისა და კამეჩისა** და შემდეგ ამისა ყოველი მატება და კლება უეჭველად თავ-თავის დროზე ჩაწერონ სიებში.

✦ **სავეტერინარო გამგეობამ** მოსთხოვა რკინის გზის გამგეობას ცოცხალ საქონლის მისაღები სადგური ნავთლუღის სადგურზე იქმნას გადატანილი. საიქაოთ დანიშნულია ვეტერინარი რკინის გზით მოსული საქონლის გასასინჯად.

✦ გუშინ, დილის 7 საათზე, ანდრეევის ქუჩაზე, ტფილისის საქალაქო მექანიკთა უყურადღებობისა გამო, მოხდა **უბედურება**. ამ ქუჩაზე უსუფთაობის მილის გასაყვანად სჭრიდნენ თხრილს. მიწა მოზვავდა და ქვეშ მოიტანა **მუშა**.

✦ სოფიო გურიელი, რომელსაც ჰბრალდებოდა **მაჭანკლობა და მცირეწლოვან ქალთა გარყვნა**, ტფილისის საოლქო სასამართლომ დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა მას ღირსებისა და უფლებათა ჩამორთმევა და საპატიმროთა როტებში დამწყვდევა $1^1/_2$ წლით. დამნაშავე დაატუსაღეს.

✦ სამს მარტს სამოსამართლო პალატაში გაირჩა კერძო საჩივარი **კნ. ქეთევან ჯამბაკურიან-ორბელიანის** ანდერძის აღმასრულებელის **ს. ფერნამესი** ტფილისის ოლქის სასამართლოზე, რომელმაც მემკვიდრეთა თხოვნის თანახმად, ამას წინად დაადგინა მისი გადაყენება ანდერძის აღმასრულებელის თანამდებობიდან. სამოსამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს დადგენილება და უყურადღებოდ დასტოვა მემკვიდრეთა თხოვნა.

✦ ჩვენ მივიღეთ **ახლად დაბეჭდილი წიგნი**: „ქართლის ცხოვრება“ მესამე წიგნი, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, ფასი 40 კაპ. წიგნი იწყება გიორგი ბრწყინვალის აღწერით და სიმონ მეფის ცხოვრების აღწერით თავდება, ანუ XVI საუკ. დამდეგამდე.

წიგნის განცხადებიდან სჩანს, რომ გამომცემელს განზრახვა ჰქონია ამ გვარადვე გამოსცეს მეორე ტომი „ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც 1850 წ. პეტერბურგში პროფესორმა დავით ჩუბინოვმა დაბეჭდა. დღეს ამ წიგნის შოვნა იშვიათია და მასთან ერთად ძვირიც.

✦ მოგვივიდა მესამე (მარტის) წიგნი ტფილისის რუსულის ჟურნალისა „**კავკაზსკი ვესტნიკ**“. წიგნში დასტამბულია სხვათა შორის: ა. ხახანაშვილის წერილი „დავით გურამიშვილი და მისი პოემა“, ა. ნატროშვილის წერილი (გაგრძელება) „მცხეთა და მისი საკრებულო ტაძარი—„სვეტი-ცხოველი“, „მოგზაურობა შარდენისა“—თარგმანი, მოთხრობა ივანოვიჩისა „ბელოვი“ და სხვა.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

3 მარტი

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. გაელვანი ჰკითხულობს—მიაქცია თუ არა ჩემბერლენმა ყურადღება ცნობას იმის შესახებ, რომ ბურებმა დაანგრიეს ქვის ნახშირის მადნები ლედი-სმიტთან და რომ მათი მოხელენი გულ-ახდილად ლაპარაკობენ იოჰანესბურგის ოქროს მადნების, მაშინების და შენობების დანგრევის შესახებ? ჩემბერლენი უპასუხებს, რომ ამ ცნობებმა მიიპყრეს უკვე მისი ყურადღება. ის შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ინგლისმა გამოუცხადა კრიუგერს, რომ მისგან და მის მთავრობისაგან მოელიან დაცვას ყველა მცხოვრებთა სიცოცხლისა და ქონებისა და რომ ტრანსვაალი იქმნება პასუხის მგებელი, თუ ისეთი რამ იქმნება ჩადენილი, რაც ეწინააღმდეგება კულტურულ ერთა ზნეჩვეულებას.

**ლონდონი.** „დეილი მაილს“ დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდან, რომ რეიცმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელიც უარჰყოფს სოლსბერის განცხადებას, ის ამბობს, რომ თავის დროზე რესპუბლიკამ მიჰმართა ბრიტანიის მთავრობას თხოვნით—უკანვე დაიბარეთ ინგლისის ჯარები, თორემ მათი დატოვება რესპუბლიკების საზღვრებზე ომის გამოცხადებად ჩაითვლებაო. მაგრამ ამაში არ უნდა დაინახათ ომის გამოცხადება ბურების მხრით. როგორც ბურების შეიარაღება, ისე ულტიმატუმი,—იყო მხოლოდ გამოწვეული სიფრთხილის საჭიროებით; ხოლო სიფრთხილის საჭიროება ცხადი შეიქმნა ჯემსონის თავდასხმის შემდეგ და აგრეთვე იმ გარემოების აღმოჩენის შემდეგ, რომ ამ თავდასხმის მოწყობაში წილი ედო თვით ინგლისის სამინისტროს ერთ წევრსაო. ინგლისის განზრახვა—მოსპოს რესპუბლიკების დამოუკიდებლობა—ეხლა ნათლად მტკიცდება სოლსბერის დეპეშიდან და ამიტომ ბურებს მხოლოდ ის-ღა დარჩენიათ—განაგრძონ ბრძოლა თავისუფლებისათვის იმ იმედით, რომ უფალი შეეწევა მართალთ.

**ვაშინგტონი.** იმ შევიწროებათა გამო, რომელსაც აყენებს ჩინეთის ერთი საიდუმლო საზოგადოება ამერიკის მისსიას, ამერიკის გემი მიდის მანილიიდან ერთ-ერთ ჩინეთის ნავთსადგურში. გემის გაგზავნას არავითარი კავშირი არა აქვს ჩინეთის დედოფლის ბრძოლასთან რეფორმების პარტიის წინააღმდეგ. გარეშე საქმეთა სამინისტრო ამ ბრძოლას უყურებს, როგორც ჩინეთის შინაურს საქმეს.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენის საპოლიციო ჯარის ერთმა რაზმმა, კაპიტანის ვულერის წინამძღოლობით დაიჭირა ბერკმისტი.

გენერალმა პრეტიმენმა, რომელიც ინგლისის მთავრობამ ბლუმფონტეინის გუბერნატორად დანიშნა, პროკლამაცია გამოსცა, რომლით ყველა ბურებს, ქალაქის გარშემო ათი მილის მანძილზე მცხოვრებთ, ებრძანა იარაღი გა-

დასცენ ინგლისელთ; ვინც ბრძანებას არ აასრულებს, მათ ქონება-საცხოვრებელი წაერთმევა. ჰოლანდიელნი მეტად აღელვებულნი არიან.

**ნიუ-იორკი.** „Coopers union“-ში მოხდა გუშინ კრება ბურებისთვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. ორატორთა შორის იყო ამერიკის ელჩად ნამყოფი ტრანსვაალში მონტეგიუ უაიტი. კრების თავჯდომარემ სთქვა, რომ ომი დასრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ან ბურები ამოწყდებიან ერთიანად, ან ინგლისელები იქნებიან უკუ-ქცეულნი. მონტეგიუ უაიტმა განიმეორა ის, რაც მან წინა დღეს დასტამბა გაზეთ „World“-ში. ორატორმა უესსელსმა უსაყვედურა ინგლისს, სხვათა შორის, ისიც, რომ ინგლისელნი თოფ-იარაღს ურიგებენ აფრიკის მკვიდრთ ბურებთან საბრძოლველად. კრების შემდეგ მონტეგიუ უაიტმა უთხრა ერთს ჟურნალისტს, რომ, თუ ბურები ააფეთქებენ და დაანგრევენ იოჰანესბურგს, ამის გამართლება შეიძლება სტრატეგიულის მიზეზებით; ამასთანავე უაიტმა გაახსენა ჟურნალისტს, რუსებმა რომ ცეცხლი წაუკიდეს მოსკოვს 1812 წელს. გარდა ამისა უაიტმა სთქვა, რომ ბურებს განზრახვაც არ ჰქონებიათ დაეცვათ ბლუმფონტენი, რადგანაც ადგილმდებარეობის მიხედვით მოუხერხებელია მისი დაცვა.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა ვანცილიდან 2 მარტს გამოგზავნილი. დეპეშა იტყობინება, რომ ალიმნულს დღეს ინგლისელნი გადავიდნენ მდინარე ორანჟეს მეორე ნაპირზე. ჰფიქრობენ, რომ ბურებს, რომელთაც ეჭირათ გორაკები ფონთან ახლო, უეცრად თავს დაესხა გენერალი კლემენცი და ამიტომ მათ ველარ დაუშალეს ინგლისელთ მდინარეზე გადასვლა. ამ ჟამად კეთდება ხიდი ზარბაზნების გადასატანად. შემდეგ ჯარები წინ წავლენ ორანჟეს რესპუბლიკაში.

„ტაიმს“-ს კაპშტადტიდან დეპეშითატყობინებენ 2 მარტს, რომ იქ ვიღაცას წერილი მოსვლია იოჰანესბურგიდან, რომლით იუწყებიან, რომ წერილის გაგზავნის დროს იოჰანესბურგის მადნებში ყოველივე თავის წეს-რიგზე იყო და ყოველს წამს შეიძლება დაწყება მუშაობისა.

**ბლუმფონტენი.** გენერალმა პრეტიმენმა დანიშნა კოლლინსი ლანდროსტად, პაპენფუსის მაგიერ. ფრაფერსა და ბურგომისტრს რჩეიმიუს ვეცესი ფლება ექნებათ ადგილობრივ საქმეების განხილვის დროს. დღეს აღმოაჩინეს აქ დიდძალი სურსათი, რომელიც ბურებმა წაართვეს ინგლისელებს მდინარე რიეტთან თავდასხმისდროს.

**პეტერბურგის ბირჟა 3 მარტს.**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 219¼ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 „ | — |
| 4½% ამავე ბანკისა | — „ | = „ | 90⅛ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . | 97¼ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა , . , . | — „ | 92 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 298 „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 258¾ |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**კვირა,** 5 მარტი; ახალი სტილით 18 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 301 დღე. მთვარის მე-18 დღე. დიდი მარხვის მეთოთხმეტე დღე. ხსენება წმ. მოწამისა კონონისა, ონისიმესი და მარკოზისა.

**ორშაბათი,** 6 მარტი; ახალი სტილით 19 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 300 დღე. მთვარის მე-19 დღე. დიდი არხვის მეხუთმეტე დღე. ხსენება ღირსისა თეოდორისა, კონსტანტინესი და სხვათა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი მროხისა | 1 | გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(მროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 კ. |
| » » | II | » | » | » | 3½ » |
| » » | III | » | » | » | 3 » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | » | 3½ » |
| ლავაში ჯკ. მძ. | I | » | » | » | 6 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზაღზე

| | ფუთი | მ. კ. | მ. კ. |
|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | — 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — 70 | — — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 60 | — — |
| ხახვი . . . . | 1 | — 50 | — — |
| თივა . . . . . . | 1 | — 60 | — — |
| ბზე . . . . . . | 1 | — 28 | — — |

შუშა რეხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, მროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მარაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქაანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს

20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მოდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სასალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სა 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მოდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბრს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

---


# განცხადებანი

ვისაც სურს **ფოტოგრაფიული სურათები** (თავისი ან მწერალთა) იქონიოს ფაიფურზე, ზაპონკებზე ან სხვა სამკაულ საგნებზე, ან ხელსახოცებზე და წიგნებში ჩასადებ ლენტებზე, შეუძლია მიჰმართოს **ალექსანდრა როდიონოვისას**, ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზე, № 54. ნ. 4—2

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**' რომ მის, გამგეობის, თანადასწრებით 20 მარტს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბაზრის ქუჩის ბოლოში მყოფი ოთხი დუქნის იჯარით გაცემაზე. ეს დუქნები იმყოფება ალექსანდრეს ბაღის სამხრეთ ნაწილში. ვისაც ჰსურს ვაჭრობა, შეუძლიან ვაჭრობის პირობები გასინჯოს ტფილისის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე, (ნ. 3—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი **ანდერსენისა:**

## დედა

თარგმნილი თ. **სახოკიას**-მიერ.

გამოცემა

**ხარიტო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

---

**ოზურგეთის ქალაქის თვით-მართველობა აცხადებს** ყველა იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებსაც უფლება აქვთ ოზურგეთის ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, რომ ქალაქის რწმუნებულთა მეორე ოთხი წლით 1900-1904 ასარჩევი კრება დანიშნულია 20-ს მარტს ამა 1900 წელს. ნ. 3—3

---

საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა კრუგლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის გუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.


გამომც. გ. ტუხია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Марта, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.